



# განათლების მინისტრმა თსუ-ის გარემონტებული მე-11 კორპუსი დაათვალიერა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა თსუ-ის გარემონტებული მე-11 (ყოფილი ბიოლოგების) კორპუსი დაათვალიერა. რემონტი თსუ-ისა და განათლების სამინისტროს შორის 2009 წლის 25 აგვისტოს „საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩატარდა.

მინისტრმა დაათვალიერა აუდიტორიები, რესურსცენტრი, ოთახები აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის. დიმიტრი შაშკინის თქმით, „სამინისტრო კვლავ გააგრძელებს ინფრასტრუქტურის განვითარებას, რათა პროფესორებს შეეუქმნათ კარგი პირობები იმისათვის, რომ ასწავლონ, ხოლო სტუდენტობას — ისწავლონ“. თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ ჩატარებული სამუშაოები შეაფასა და აღნიშნა, რომ „თსუ-ში განახლდა მთელი ინფრასტრუქტურა. ჩვენს სტუდენტებს საერთაშორისო სტანდარტების გარემოში უნევთ სწავლა, რითიც საშუალება ეძლევათ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მიიღონ თანამედროვე განათლება“. მინისტრის დიდი მოწონება დაიმსახურა თსუ-ის მუზეუმის ზოოლოგიურმა ფონდმა. მისი გადანაცვებით, სექტემბრიდან ყველა სკოლის მოსწავლემ უნდა მოინახულოს ზოოლოგიური ექსპონატების გამოფენა და ჩაუტარდეს ბიოლოგიის ღია გაკვეთილი.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ თსუ-ის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გამოყოფილი სახსრებიდან 794 879 ლარი დაიხარჯა. მათ შორის მე-11 კორპუსის რემონტზე — 518 130 ლარი, სადაც გარემონტდა დაახლოებით 7 500 კვ.მ. ფართი, მათ შორის: 60 ოთახი, 37 აუდიტორია, 12 კომპიუტერული კლასი და 1 რესურსცენტრი. ასევე ძირითადი აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციისათვის 38 სამუშაო ოთახი, რომელიც დაკომპლექტდა ახალი ინვენტარით. განათლების სამინისტროდან გამოყოფილი თანხა დაიხარჯა, აგრეთვე, ბიბლიოთეკის გათბობაზე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ინვენტარზე და მე-10 (მალღვივი) კორპუსის მე-2, მე-5, მე-7 სართულების რემონტზე.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური



# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის

9 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ და სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსმა გიორგი ხიზანიშვილმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ სტუდენტთა პროფესიული დაოსტატებისა და განვითარების საქმეში თსუ-ის სტუდენტები სასამართლო ექსპერტიზის კლინიკას ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გაივლიან.

„ექსპერტიზის ბიურო ერთადერთი თანამედროვე სტანდარტების ლაბორატორიაა ამიერკავკასიაში, რომელიც საერთაშორისო მოთხოვნების აღჭურვილობითა და მეთოდოლოგიით მუშაობს. ჩვენ ხელს შეუწყობთ ყველა

სპეციალობისა და კვალიფიკაციის სტუდენტებს აუცილებელი უნარ-ჩვევების შექმნაში. ჩვენთან გავლილი პრაქტიკა ხელს შეუწყობს სწორი და კვალიფიციური განათლების მიღებას და პროფესიონალი ექსპერტის ჩამოყალიბებას. თავის მხრივ, ექსპერტიზის ბიუროში პრაქტიკა თსუ-ის სტუდენტებს კრედიტებში ჩაეთვლება“, — აღნიშნა გიორგი ხიზანიშვილმა. თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო-

სთან თანამშრომლობის პერსპექტივა საკმაოდ საინტერესოდ მიიჩნია. „ექსპერტიზის ბიუროში უფრო კვალიფიციური მუშახელის პრობლემაა, ვიდრე დასაქმების. სამწუხაროდ, ქვეყანაში ტექნიკური მიმართულების სპეციალისტების დეფიციტია. ამ მემორანდუმის საშუალებით თსუ-ის ქიმიკოსებს, ბიოლოგებს, ფიზიკოსებსა და სხვა ტექნიკური მიმართულების სტუდენტებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და შემდგომი დასაქმების

პრობლემა არ შეექმნებათ. ამავე დროს, ეს ხელს შეუწყობს ჩვენი სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებას და დეფიციტურ მიმართულებებზე სტუდენტების მოზიდვას“. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე ექსპერტიზის ბიუროს წარმომადგენლები კვლავ ესტუმრებიან თსუ-ს და სტუდენტებისთვის საკუთარი სამსახურისა და ამ სამსახურში სტუდენტთა პერსპექტივების პრეზენტაციას მოაწყობენ.

# თუბითაქის ექსპერტი თსუ-ში

3 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქეთის სამეცნიერო-ტექნოლოგიური კვლევების საბჭოს (თუბითაქის) ექსპერტი, სრული პროფესორი ბულენთ ოლჯეი ენვია.

თურქი სტუმარი საქართველოს 10 უნივერსიტეტის რექტორებისა და სამეცნიერო სამსახურების წარმომადგენლებს თურქეთში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებზე, საბჭოს საქმიანობასა და მომავლის გეგმებზე ესაუბრა. „თურქეთის განათლებისა და სამეცნიერო კვლევების სფეროში დიდი გამოცდილება აქვს. მსურს, ეს გამოცდილება გავუზიარო ქართულ მხარეს, გავაცნო თანამშრომლობის პერსპექტივები და იმ პროექტების დანერგვის შესაძლებლობები, რომელთა განხორციელებაც სამეცნიერო კვლევების სფეროშია შესაძლებელი“, — განაცხადა ბულენთ ოლჯეიმ. თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ თურქული გამოცდილების გაზიარების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება: „თურქეთი რეგიონში წამყვანი ქვეყანაა, მისი გამოცდილება სხვადასხვა, მათ შორის განათლების სფეროში, ქართული უნივერსიტეტებისთვის საინტერესოა. ჩვენ სრულად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ინტელექტუალური რესურსები, მით უფრო სამეცნიერო კუთხით. ამ მიმართულებით უნივერსიტეტებს მეტი მოგვეთხოვება“. თსუ-ის პრეზიდენტია რექტორის მოადგილემ ირინა დარჩიამ მოაწყო. მან სტუმრებს უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო მუშაობის პირობები გააცნო. „შავი ზღვის უნივერსიტეტის“ პრორექტორმა გიული ალასანიამ აღნიშნა, რომ თურქეთთან 1992 წელს დადებული ჩარჩო ხელშეკრულება თანამშრომლობის ბევრ, მათ შორის სამეცნიერო თანამშრომლობის შესაძლებლობებს იძლევა. სიტყვით გამოვიდნენ სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები. ბოლოს გაიმართა დისკუსია.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს შემდეგი უნივერსიტეტები: თსუ, შავი ზღვის უნივერსიტეტი, თელავის უნივერსიტეტი, სოხუმის უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

თოფურია მადლობა გადაუხადა თსუ-ის წარმომადგენლებს გულთბილი მიღებისთვის. „ემიგრაციაში ყოფნისას, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე საქართველოსთვის. ნიუ-იორკში ჩემი სახლი ქართველი ემიგრანტების მასპინძელი და თავშესაფარი იყო. მე ვპატრონობდი ამერიკაში ჩამოსულ ქართველებს. მოხიბლული ვარ დღევანდელი საქართველოს ხილვით. თბილისი სულ სხვანაირია — სად ნახავ ასეთ გამწვანებულ, მოვლილ, სუფთა ქალაქს. თბილისი ევროპული ქალაქია. არც აქამდე მქონია ეჭვი, მაგრამ ახლა უფრო დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ერთ-ერთი უძველესი, ყოველმხრივ განსხვავებული და განსაკუთრებული ერი, მსოფლიო კულტურის ერთ-ერთი საინტერესო ელემენტი ვართ“, — განაცხადა ნიკო თოფურია. თსუ-ის რექტორთან საუბრისას მან უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი გაიხსენა: „ქიმიკ იმიტომ ავირჩიე, რომ კომუნისტები მეჯავრებოდა. მორიდებული ახალგაზრდა ვიყავი და მინდოდა ჰუმანური პროფესია მქონოდა. სოფელში ქიმიის მასწავლებლობა მინდოდა“. თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ ქართველ ემიგრანტს უნივერსიტეტთან შემდგომი თანამშრომლობა შესთავაზა. „ბატონ ნიკოს ოპტიმიზმი, ცხოვრებისეული გამოცდილება და მიზანი გვაგვალდებულებს უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ჩვენს საქმეს. ჩვენ მხოლოდ საქართველოში მცხოვრებთათვის ეს არ უნდა ავაშენოთ განვითარებული და ბედნიერი საქართველო, არამედ იმ ემიგრანტებისთვის და მათი შთამომავლებისთვის, რომლებიც საქართველოდან შორს მყოფნი ზრუნავენ საკუთარ სამშობლოზე“.

# ქართული სათვისტომოს წარმომადგენელი სტუმრად თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა აშშ-ში ქართული სათვისტომოს წარმომადგენელს ნიკო თოფურიას შეხვდა.



ნიკო თოფურია თსუ-ის ემიგრაციის მუზეუმს ესტუმრა. იგი ესაუბრა თსუ-ის ქიმიის კათედრის წარმომადგენლებს. ნიკო თოფურია საქართველოში 2 დღის წინ ჩამოვიდა. იგი შეხვდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. თოფურია მოგვიანებით მარტვილის რაიონის სოფელ ხუნწში მშობლიურ სახლ-კარსაც მოინახულა. ნიკო თოფურია თსუ-ის ქიმიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი იყო, როცა მეორე მსოფლიო ომში საბრძოლველად წავიდა. ომის მსვლელობისას ის ტყვედ ჩაუვარდა გერმანელ ნაცისტებს. აშშ-ში გადასვლამდე იგი იტალიაში იმყოფებოდა. აშშ-ში ნიკო თოფურია 30 წლის მანძილზე ქართველთა სათვისტომოს მდივანი იყო. სათვისტომო გამოსცემდა ქართულენოვან გაზეთებს, აგზავნიდა საარქივო მასალებს საქართველოში. მას ჰყავს მეუღლე — ქართველი ემიგრანტის ერთაბ რამიშვილის შთამომავალი, ასევე 2 შვილი და შვილიშვილი. ნიკო თოფურია საქართველოში 1996 წელსაც იმყოფებოდა, რის შემდეგაც ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოსცა ნიგნი „დაბრუნება 55 წლის შემდეგ“.

ში არსებულ საოჯახო ბიბლიოთეკასა და არქივსა საქართველოში ჩამოიტანს და მის მშობლიურ სოფელში მუზეუმს უსახსოვრებს.

თსუ-ის რექტორთან შეხვედრამდე ნიკო თოფურია თსუ-ის ემიგრაციის მუზეუმს ესტუმრა. იგი ესაუბრა თსუ-ის ქიმიის კათედრის წარმომადგენლებს. ნიკო თოფურია საქართველოში 2 დღის წინ ჩამოვიდა. იგი შეხვდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. თოფურია მოგვიანებით მარტვილის რაიონის სოფელ ხუნწში მშობლიურ სახლ-კარსაც მოინახულა.

ნიკო თოფურია თსუ-ის ქიმიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი იყო, როცა მეორე მსოფლიო ომში საბრძოლველად წავიდა. ომის მსვლელობისას ის ტყვედ ჩაუვარდა გერმანელ ნაცისტებს. აშშ-ში გადასვლამდე იგი იტალიაში იმყოფებოდა.

აშშ-ში ნიკო თოფურია 30 წლის მანძილზე ქართველთა სათვისტომოს მდივანი იყო. სათვისტომო გამოსცემდა ქართულენოვან გაზეთებს, აგზავნიდა საარქივო მასალებს საქართველოში. მას ჰყავს მეუღლე — ქართველი ემიგრანტის ერთაბ რამიშვილის შთამომავალი, ასევე 2 შვილი და შვილიშვილი. ნიკო თოფურია საქართველოში 1996 წელსაც იმყოფებოდა, რის შემდეგაც ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოსცა ნიგნი „დაბრუნება 55 წლის შემდეგ“.



„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 34-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული უნივერსიტეტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის №91 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 30 მაისის №13 სხდომის გადაწყვეტილების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 91-ე დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 18 იანვრის №1 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 26 მარტის №24 სხდომის გადაწყვეტილების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 2010 წლის 31 მაისის №107/02-01 ბრძანების საფუძველზე

## ბრძანება № 55/01-01

25.06.2010

### ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამომცხადების შესახებ

#### ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება

3 სამი წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 6 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილება. ხოლო ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად არანაკლებ 3 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილება.

- 3. ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე 2 წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტურის სტუდენტი;
- 4. კონკურსი ცხადდება სრული პროფესორის 1 საშტატო, ასოცირებული პროფესორის 13 საშტატო და ასისტენტ პროფესორის 13 საშტატო ერთეულზე, მათ შორის:

#### ეკონომიკის მიმართულება

- ეკონომიკის პრინციპების ქვემიმართულება - 1 ასისტენტ პროფესორი;
- მიკროეკონომიკის ქვემიმართულება - 1 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტ პროფესორი;
- მაკროეკონომიკის ქვემიმართულება - 3 ასოცირებული პროფესორი, მათ შორის 1 ასოცირებული პროფესორი შრომის ეკონომიკის პროფილით; 2 ასისტენტ პროფესორი, მათ შორის 1 ასისტენტ პროფესორი შრომის ეკონომიკის პროფილით;
- ეკონომიკური პოლიტიკის ქვემიმართულება - 2 ასოცირებული პროფესორი ეკონომიკური პოლიტიკის პროფილით; 2 ასისტენტ პროფესორი საერთაშორისო ეკონომიკური ერთეულების პროფილით;
- ეკონომეტრიკის ქვემიმართულება - 1 ასისტენტ პროფესორი;

- მენეჯმენტის ქვემიმართულება - 1 სრული პროფესორი; 4 ასოცირებული პროფესორი, მათ შორის 1 ასოცირებული პროფესორი სურსათის ხარისხისა და უვნებლობის მართვის პროფილით; 2 ასისტენტ პროფესორი;
- ფინანსები და საბანკო საქმის ქვემიმართულება - 2 ასისტენტ პროფესორი;
- საერთაშორისო ბიზნესის ქვემიმართულება - 1 ასისტენტ პროფესორი;
- მარკეტინგის ქვემიმართულება - 1 ასისტენტ პროფესორი;
- საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის მიმართულება - 3 ასოცირებული პროფესორი, მათ შორის 1 ასოცირებული პროფესორი ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფილით;

5. კონკურსი გამომცხადდეს 2010 წლის 25 ივნისს, დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2010 წლის 26 ივლისიდან 2010 წლის 9 აგვისტოს ჩათვლით. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არაუგვიანეს 2 თვის ვადაში;

6. სრული პროფესორის თანამდებობრივი სარგო შეადგენს თვეში 900 (ცხრაასი) ლარს, ასოცირებული პროფესორის თანამდებობრივი სარგო შეადგენს თვეში 720 (შვიდასოცი) ლარს, ასისტენტ პროფესორის თანამდებობრივი სარგო შეადგენს თვეში 540 (ხუთასორმოცი) ლარს.


7. სრული და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

- ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
- ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) ავტობიოგრაფია (აზ);
- დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტები) ასლი;
- ე) სალექციო კურსების ჩამონათვალი — სილაბუსებით;
- ვ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;
- ზ) ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის კვლევით პოტენციალს;
- თ) სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არანაკლებ 6 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ი) ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად არანაკლებ 3 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 8. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:
  - ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
  - ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
  - გ) ავტობიოგრაფია (აზ);
  - დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - ე) სამოტივაციო წერილი.
- 9. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს თსუ-ის X კორპუსში, 2010 წლის 26 ივლისიდან 2010 წლის 9 აგვისტოს ჩათვლით. ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2, 404-ე ოთახი.
- 10. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“ და განთავსდეს თსუ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე
- 11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი გ. ხუბუა



კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა, პროფესორ დინა კარბერის ხელმძღვანელობით, ფერების სხვადასხვა სპექტრთან ქალებისა და მამაკაცების დამოკიდებულება შეისწავლეს. როგორც გაირკვა, წითელი ფერი თვითშეფასებას ამცირებს, სამაგიეროდ, გაღიზიანებასა და აგრესიას აღვიძებს. ექსპერიმენტში მონაწილეობა 900-მა ადამიანმა მიიღო. მათ რიგ-რიგობით აჩვენებდნენ საგნებსა და სხვადასხვა ფერის სამოსში გამოწყობილ ადამიანებს. თითქმის 89%-ს რეაქცია სწორედ წითელ ფერზე ჰქონდა და რაც უფრო ხასხასა იყო ეს ფერი, ემოციური რეაქციაც უფრო ძლიერდებოდა. ამერიკელ მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ წითელი ფერის გავლენა ადამიანში ქვეცნობიერ დონეზეა ჩანერგილი და თუ მის ცხოვრებაში ის ჭარბი ოდენობით აღინიშნება, შეიძლება სახიფათოც აღმოჩნდეს. მაგალითად, თუ ბავშვის ირგვლივ სათამაშოების, კედლების ან ავეჯის წითელი ფერი 40%-ს აღემატება, იგი გულჩახვეული და გაბოროტებული გაიზრდება და ძალადობისკენ მიდრეკილება ექნება.



ფიზიკური სხეულის ერთი ნერტილიდან მეორეში გადატანა ნამების განმავლობაში დღემდე ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა. მერილენდის შტატის კვანტური ინსტიტუტის მეცნიერებმა კი შეძლეს ერთი მეტრის მანძილზე ერთი ატომიდან მეორეში ინფორმაციის გადატანა. კვანტური ინფორმაციისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვან მოვლენად ჩაითვალა. მკვლევრებმა დაამტკიცეს, რომ შესაძლებელია ერთი ატომის თვისებები მეორეზე ისე გადაიტანო, რომ პირველის ზუსტი ასლი გახდეს. ეს აღმოჩენა ზესაიმიედო და ზესნრაფი კვანტური კომპიუტერების შექმნის საშუალებას იძლევა.



უახლოეს მომავალში, მთელი პერსონალური ინფორმაცია, რომელიც ჩვენს კომპიუტერებში ინახება, ალბათ, ინტერნეტში გადაინაცვლებს. სპეციალისტების აზრით, კომპიუტერებს აღარ დასჭირდება ვინჩესტერი, ფლეში ან პროგრამული მომსახურება. ყოველივე ამისთვის სივრცეს ინტერნეტი გამოყოფს, სადაც ისევე იმუშავებ, როგორც დღეს პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობ. ამის წყალობით, კომპიუტერების მოწყობილობა ძალიან გამარტივდება და, შესაბამისად, ძალიან გაიაფდება. ანალიტიკოსების აზრით, წელს ორი ისტორიული მოვლენა მოხდება. ჯერ ერთი ვიდეო გამოუმუშავებს საოპერაციო სისტემას chrome os-ს, რომელიც მხოლოდ მის ბრაუზერზე იქნება დამოკიდებული და პერსონალურ პროგრამებს აღარ მიიღებს. და მეორე, ვებ-პროგრამისტები მთლიანად გადაერთვებიან ახალ ენობრივ სტანდარტზე html5, რაც მომხმარებელს საშუალებას მისცემს ქსელური პროგრამები ისე გამოიყენოს, რომ კომპიუტერზე დამატებითი მოდულების დაყენება არ დასჭირდეს.



იტალიის კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულმა კომიტეტმა მთავრობას თხოვნით მიმართა ლეონარდო და ვინჩის ნეშტის ეგსგუმაციის უფლება დართოს. მეცნიერებს სურთ დაადასტურონ ან უარყონ გავრცელებული აზრი, რომ მონა ლიზა მხატვარმა საკუთარ ავტოპორტრეტად შექმნა. თავდაპირველად ნეშტს დნმ-ის ანალიზს ჩაუტარებენ, რათა საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ საფრანგეთის ერთ-ერთ ციხე-კოშკში დაცული ნეშტი უდავოდ ლეონარდო და ვინჩის ეკუთვნის.


ყველასათვის ცნობილია, რომ კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობა ფიზიკურ პრობლემებს და მორალურ გადაღლას იწვევს. სწორედ ამიტომ, დიზაინერებმა ყურადღება მიამჩვიეს სამუშაო მაგიდის ერგონომიკას და იგი სავარძელთან გააერთიანეს. პრობლემის გადასაწყვეტად, დიზაინერმა იუძი ფუძიმუშემ შექმნა სპეციალური ერგონომული სამუშაო მაგიდა, რომელიც მუშაობის ხანგრძლივ პროცესს უფრო კომფორტულს გახდის. მისი უმთავრესი უპირატესობა ის ბუნებრივი, ირიბი შტრიხებია, რომელიც სხეულს ზუსტად ერგება. გარდა ამისა, მოძრავი და მოქნილი პანელი, რომელზედაც ნოუთბუქი დგას, ნებისმიერ სიმაღლეზე ფიქსირდება. მუშაობის დასრულების ან დროებით შეწყვეტისას, მოწყობილობა კომფორტული დასვენების საშუალებასაც იძლევა.




ამერიკელმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს ანგარიში, სადაც დასაბუთებულია: ადამიანი თავისი გალაქტიკის საზღვრებს მაშინაც კი ვერ გასცდება, თუკი სინათლის სხივის სისწრაფეს დაიმორჩილებს. ამას დაახლოებით 1000 წელი დასჭირდება, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა კი 100 წელს იშვიათად აღწევს. თუ სანყის ნერტილად მზეს ავიღებთ, კოსმოსურ ხომალდს, დაახლოებით, 5 საათი და 31 წუთი დასჭირდება, რათა მზის სისტემას გასცდეს. ამ სისტემის მიღმა მას იმდენი შორეული ვარსკვლავი შემოეხვევა, რომ მოეჩვენება — საერთოდ აღარ ვმოდრობ და ერთ ადგილზე გავიყინო. კოსმოსური ხომალდი ხუთი წლის შემდეგ მზის სისტემის უახლოეს ვარსკვლავს — ალფა ცენტავრს მიადნევის, რაც 25 ტრილიონი მილის გავლას ნიშნავს. ჩვენი გალაქტიკის საზღვრებამდე მისაღწევად ხომალდს 1000 წელი დასჭირდება, წინ კი რამდენიმე მილიარდი ასეთი გალაქტიკა დახვდება.



იაპონელმა მეცნიერებმა შექმნეს უნიკალური კამერა, რომელიც უსაფრთხოების სამსახურებს შრომას ძალიან შეუმსუბუქებს. სპეციალურ სკანერს მაშინაც კი შეუძლია ადამიანის სახის შეცნობა, როცა ის მიმოიკითაა შეცვლილი ან ტანსაცმლით დაფარული. ასეთი სისტემის მოტყუება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუკი პლასტიკური ქირურგის დახმარებით სახეს მთლიანად შეიცვლი. იაპონიაში უკვე მიიღეს გადაწყვეტილება ახალი სკანერის მეშვეობით უსაფრთხოების სისტემა დახვეწონ. ამ ვიდეო სკანერს ადამიანის სახის 3d მოდელის შესაქმნელად რეალურ დროში ნამები სჭირდება. თანაც აუცილებელი არაა ადამიანი ოპერატორს უყურებდეს ან საერთოდ იცოდეს, რომ იღებენ. ახლა ბრბოში ჩაკარგვას ველარავინ შესძლებს, რადგან სისტემას ერთდროულად რამდენიმე ასეული სახის დაფიქსირება შეუძლია. შესაბამისად, კაცობრიობას მალე აღარ დასჭირდება საბუთების, საშვების, ფულის ან საკრედიტო ბარათების თან ტარება. მას აუცილებლად სახით იცნობენ.



თუ წარმოგიდგინიათ — როგორ იცხოვრებდით მრავალსართულიან სახლში, რომლის ფანჯრებიდანაც არაჩვეულებრივი წყალქვეშა სამყარო მოჩანს? მრავალსართულიანი შენობა, რომელიც წყალში თავდაყირაა ჩაშვებული, ჯერჯერობით მხოლოდ პროექტია, მაგრამ, შეიძლება რეალობადაც იქცეს, თუ გლობალური დათბობის შედეგად ზღვის დონემ ისე აიწია, რომ კაცობრიობას წყალქვეშ მოუწია ცხოვრება. პროექტი Gyre არის მცურავი ეკო-შენობა, რომელშიც სამცენიერო-კვლევითი ცენტრები, კურორტი, მაღაზიები, რესტორნები, ბაღები და გასართობი კომპლექსებია აგებული. ენერჯის იგი მხოლოდ მზის, ქარისა და ოკეანისგან იღებს. პროექტი იმთავითვე ჩაფიქრებულია, როგორც წყალქვეშა ცათამბჯენი, რომელიც დაახლოებით 102 სართულიანი შენობის სიმაღლეს აღემატება. მთლიანი ფართობი კი, დაახლოებით, ფეხბურთის ორმოცი მოედნის ფართობს უტოლდება.



სენტ-ანდრიუს უნივერსიტეტის ფიზიკოსმა ულფ ლეონხარდტმა 100 ათასიანი გრანტი მიიღო. იგი აპირებს შექმნას ლაბადა, რომელიც მის მფლობელს უხილავს გახდის. პროფესორი ცდილობს შექმნას ქსოვილი, რომელსაც სინათლის სხივი გვერდს აუვლის. ამით ქსოვილი შეუიარაღებელი თვალისთვის უხილავი დარჩება. როგორც ცნობილია, ობიექტის ზედაპირი სინათლის სხივებს ირეკლავს. ჩვენ თვალში სწორედ ეს ანარეკლი გვხვდება და აჩვენებს ასე ალვიქვამთ. უხილავი ლაბადა ამ სხივებს „დაიჭერს“ და ობიექტს მოარიდებს. ამის წყალობით კი შეუიარაღებელ თვალს მოეჩვენება, რომ ობიექტი გაქრა. პროფესორი აცხადებს, რომ ეინშტეინის თეორიას ეყრდნობა და აპირებს შეისწავლოს „ოპტიკური მეტამასალები“ ანუ კომპოზიტები, რომელსაც უჩვეულო ელექტრომაგნიტური თვისებები ახასიათებთ. დღესდღეობით მეცნიერებამ საგნის უხილავად გადაქცევა მხოლოდ მიკროტალღების მეშვეობით შეძლო. ჩვეულებრივი შუქი ჯერ არავის უცდია.



მასალა მოამზადა მანანა მიქელაძემ

<b>მთავარი რედაქტორი</b>	ნინო კაკულია	<b>რედაქციის წევრები:</b>	<b>მისამართი:</b>
<b>მთავარი სამცნალისტი</b>	მაია ტორაძე	რისმაგ გორდუზიანი, ნოდარ ბელქანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, დიანა ძიძიგური, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ბესარიონ ზოიძე, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნანა ჭილაძე, თეა ჯულელი	<b>ილია ჭავჭავაძის გამზ. 11*</b> (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
<b>ტექნიკური რედაქტორი</b>	მანანა ჯურხაძე		
<b>ფოტოკორესპონდენტი</b>	სალომე მახარაძე		
<b>კომპიუტ. უზრუნველყოფა</b>	თამარ ქავუარაძე		